

ქ. ბათუმის 2017 წლის დამტკიცებული მუნიციპალური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა“, ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრის“ ფარგლებში 2017 წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებები.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 65 100 (სამოცდათხუთიათას ასი) ლარი.

ქ. ბათუმის 2017 წლის დამტკიცებული მუნიციპალური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა“, ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრის“ ფარგლებში 2017 წლის განმავლობაში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

1. ახალგაზრდული ცენტრის საბიბლიოთეკო მასალითა და ინვენტარით აღჭურვის უზრუნველყოფა (კარადები, ლამფები, წიგნები; მოლბერტების, საინფორმაციო ხასიათის დაფისა და მანიშნებლის, გისოსების დამზადება). აღნიშნული ღონისძიების განხორციელება დაგეგმილია წლის პირველ და მეორე კვარტალში, ბიუჯეტი განისაზღვრა **16 100 (თექვსმეტიათასასი) ლარით**.
2. ახალგაზრდული ცენტრის მოვლა-პატრონობა. აღნიშნული ღონისძიება გულისხმობს 2017 წლის განმავლობაში ცენტრის მოვლა - პატრონობისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას, როგორცაა დალაგება-დასუფთავება, კომუნალური ხარჯის (ინტერნეტი, ელექტრო-ენერგია, წყალი) დაფარვა, ინტერნეტ დაქსელვა, ლიფტის ყოველთვიური მოვლა, საკანცელარიო საქონელის შეძენა. ღონისძიების ბიუჯეტი განისაზღვრა **17 000 (ჩვიდმეტი ათასი) ლარის** ოდენობით.
3. შეხვედრებისა და სემინარების ორგანიზება. ღონისძიების განხორციელება დაგეგმილია 2017 წლის განმავლობაში და გულისხმობს ახალგაზრდობისათვის საჭირო და საინტერესო თემატიკის ირგვლივ საშუალოდ **20 (ოცი) შეხვედრისა** და სემინარის ჩატარებას, სხვადასხვა სფეროში საზოგადოებისათვის ცნობილი მოღვაწეებისა და კვალიფიციური ტრენერების მონაწილეობით. ღონისძიების ბიუჯეტი განისაზღვრა **30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის** ოდენობით. თითო შეხვედრისა და სემინარის ორგანიზებისათვის საშუალოდ გათვლილია **1 500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი**.
4. წლის ბოლოსათვის შემაჯამებელი კონფერენციის ორგანიზება. ღონისძიების განხორციელება დაგეგმილია წლის მეოთხე კვარტალში და გულისხმობს 2017 წლის განმავლობაში „ახალგაზრდული ცენტრის“ ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისა და აქტივობების მეშვეობით მიღებული შედეგის ანალიზის წარდგენას საზოგადოების წინაშე. ღონისძიების ბიუჯეტი განისაზღვრა **2 000 (ორი ათასი) ლარის** ოდენობით.

ქ. ბათუმის 2017 წლის დამტკიცებული მუნიციპალური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა“, ქვეპროგრამის „ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის“ ფარგლებში 2017 წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებები.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 60 500 (სამოცი ათას ხუთასი) ლარი.

ქ. ბათუმის 2017 წლის დამტკიცებული მუნიციპალური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა“, ქვეპროგრამის „ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის“ ფარგლებში 2017 წლის განმავლობაში განსახორციელებელია შემდეგი სახის ღონისძიებები:

- 1) ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? - ღონისძიება ითვალისწინებს ქალაქის მასშტაბით, მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ახალგაზრდებს შორის რა? სად? როდის? ინტელექტუალური ტურნირების ჩატარებას. თამაშები განხორციელდება სამ ეტაპად:
 - ა) მოსწავლეთა ლიგის თამაშები;
 - ბ) სტუდენტთა ლიგის თამაშები;
 - გ) ბათუმის ღია ჩემპიონატის თამაშები;თამაშები ჩატარდება „MAK“-ის საერთაშორისო წესების დაცვით, jeopardy-ის ჯგუფური ტურნირი, „პლეი-ოფისა“ და „ბრენ-რინგი“-ს სისტემით. თითოეულ ეტაპზე გამოვლინდებიან გამარჯვებულები, რომლებიც დაჯილდოვდებიან წიგნებით, თასებითა და ფასიანი საჩუქრებით.
ღონისძიების განხორციელება დაგეგმილი წლის პირველ, მეორე და მეოთხე კვარტალში, სამ ეტაპად. პირველი დამეორე ეტაპისათვის გამოყოფილია **6 000 (ექვსი ათასი) ლარი**, ხოლო დასკვნითი ეტაპისათვის გამოყოფილია **9 000 (ცხრა ათასი) ლარი**. ჯამში ღონისძიების ბიუჯეტი განისაზღვრა 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით.
2. ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი“ - გასვლითი არასატელევიზიო ფორმატის ინტელექტუალურ კონკურს „ეტალონიში“ მონაწილეობის მიღება შეუძლია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ნებისმიერი საჯარო სკოლის VIII, IX, X, XI და XII კლასის მოსწავლეს. მონაწილეს შეუძლია თითოეულ დასმულ კითხვაზე, ოთხი სავარაუდო პასუხიდან, 15 წამის განმავლობაში გასცეს სწორი პასუხი. პროექტის განხორციელების შედეგად გამოვლინდება „ქალაქ ბათუმის ეტალონი მოსწავლე“.
პროექტი ორ ეტაპად ჩატარდება: პირველი - 2017 წლის ქ. ბათუმის ეტალონი მოსწავლის შესარჩევი ეტაპი, რისთვისაც მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოიყო **2 960 (ორი ათას ცხრაასამოცი) ლარი**.
ეტალონის მეორე - ფინალური ეტაპი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის ეტალონი მოსწავლე და გამოვლინდება 2017 წლის საქართველოს ეტალონი მოსწავლე. ფინალური ეტაპის

ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოიყო **42 540 (ორმოცდაორი ათას ხუთასორმოცი)** ლარი. ჯამში დონისძიების მთლიანი ბიუჯეტი განისაზღვრა **45 500 (ორმოცდახუთი ათას ხუთასი)** ლარით.

ქ. ბათუმის 2017 წლის დამტკიცებული მუნიციპალური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა“, ქვეპროგრამის „სტუდენტური საზაფხულო დასაქმების“ ფარგლებში 2017 წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებები.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 86 000 (ოთხმოცდაექვსი ათასი) ლარი.

ქ. ბათუმის 2017 წლის დამტკიცებული მუნიციპალური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა“, ქვეპროგრამის „სტუდენტური საზაფხულო დასაქმების“ ფარგლებში 2017 წლის განმავლობაში განსახორციელებელია შემდეგი სახის ღონისძიებები:

1. სტუდენტური დასაქმების ინტერნეტ-საიტის შექმნა. დაგეგმილია წლის მეორე კვარტალში და გულისხმობს სტუდენტურ საზაფხულო დასაქმებაში მონაწილეობის მსურველთათვის ელექტრონული რეგისტრაციის გავლის შესაძლებლობის შექმნას. აღნიშნული ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტით გათვალისწინებულია **2 000 (ორი ათასი) ლარი.**
2. სტუდენტებისათვის კვების და მასურების შექმნა. დაგეგმილია წლის მეორე კვარტალში და გულისხმობს „სტუდენტური საზაფხულო დასაქმების“ მონაწილეთათვის (200 ბენეფიციარი) მასურებისა და კვების შექმნას, რისთვისაც მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოყოფილია **4 000 (ოთხი ათასი) ლარი.**
3. სტუდენტთა შრომის ანაზღაურება. განსაზღვრულია წლის მესამე კვარტალში და გულისხმობს „სტუდენტური საზაფხულო დასაქმების“ ფარგლებში დასაქმებული სტუდენტების შრომითი გასამჯელოს ანაზღაურებას, რისთვისაც მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოყოფილია **80 000 (ოთცხმოცი ათასი) ლარი.** ჯამში ღონისძიების ბიუჯეტი განისაზღვრა **86 000 (ოთხმოცდაექვსი ათასი) ლარის** ოდენობით.

სტუდენტური დასაქმება ხელს უწყობს ახალგაზრდობაში მოტივაციის ამაღლებას, მათი პიროვნული პოტენციალის რეალიზებას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეთვისებას, გამოცდილების მიღებას. პროგრამა ითვალისწინებს იმ სტუდენტების დასაქმებას, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქ. ბათუმის მინიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში და სწავლობენ ავტორიზირებულ უმაღლეს სასწავლო და პროფესიულ სასწავლებლებში. სტუდენტები დასაქმდებიან ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და მერიის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებში, ასევე სხვა სახელმწიფო სტრუქტურულ ერთეულებში. პრიორიტეტი მიენიჭება შემდეგ სტუდენტებს:

- ა) სოციალურად დაუცველი;
- ბ) მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი ან მეტი შვილი) წევრი;
- გ) მზრუნველობამოკლებული სტუდენტები (დედით და მამით ობოლი);

დ) სტუდენტი, რომელიც არის საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე პირის, დაღუპული ან გარდაცვლილად გამოცხადებული, ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის შვილი;

ე) სტუდენტები აქტიურ მოხალისეებად იყვნენ ჩართული მუნიციპალიტეტის მიერ ინიცირებულ პროგრამებში (ეკოლოგიის, გამწვანების, გაწმენდით და სხვა მოხალისეობრივ აქტივობებში);

ვ) მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები, რომელთა საერთო შეწონილი საშუალო ქულა შედგენს 81 (ოთხმოცდა ერთი) ქულას. პროგრამა განხორციელდება ორ ეტაპად, თითოეულ ეტაპზე დასაქმდება 100 - 100 სტუდენტი, სულ - 200 სტუდენტი. გაწეული შრომა ანაზღაურდება 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით). პროგრამის მონაწილეებს გამოავლენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია;